სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მებრძოლი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი
Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА" на грузинском языке

№ 144 (258) | სამშაბათი, 26 დეკემბერი | 1944 წ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ ტოლბუხინს
ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-ლეიტენანტ ივანოვს

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვა **ბუდაპეშტის** სამხრეთ-დასავლეთით და სამი დღის შეტევის განმავლობაში წინ წაიწიეს 40 კილომეტრამდე.

ფრონტის ჯარებმა შეტევის მსვლელობაში იერიშით დაიკავეს ქალაქები **სეკეშფეხერვარი** და **ბიჩკე**—კომუნიკაციების დიდი კვანძი და მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები და ამით დასავლეთისაკენ უკანდასახევი ძირითადი გზები გადაუჭრეს გერმანელ-უნგრელთა ჯარების ბუდაპეშტის დაჯგუფებას.

მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას და ქალაქების **სეკეშფეხერვარისა** და **ბიჩკეს** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს არმიის გენერალ **ზახაროვის**, გენერალ-ლეიტენანტ **შლემინის**, გენერალ-მაიორ **დერევიანკოს**, გენერალ-მაიორ **ბირმანის**, გენერალ-მაიორ **ბირიუკოვის**, გენერალ-მაიორ **ბობრუკის**, გენერალ-მაიორ **გნედინის**, გენერალ-ლეიტენანტ **რუბანიუკის**, გენერალ-მაიორ **კოლჩუკის**, გენერალ-მაიორ **გრიგოროვიჩის**, გენერალ-მაიორ **აფონინის**, პოლკოვნიკ **ჩიჟოვის**, პოლკოვნიკ **დრიჩკინის**, პოლკოვნიკ **ბრანსბურგის**, პოლკოვნიკ **პარფენოვის**, პოლკოვნიკ **კუკსის**, გენერალ-მაიორ **გორბაჩევის**, გენერალ-მაიორ **ბუნიაშინის**, გენერალ-მაიორ **ცვეტკოვის**, გენერალ-მაიორ **მარგელოვის**, გენერალ-მაიორ **კინდიუხინის**, პოლკოვნიკ **ბალდინოვის**, პოლკოვნიკ **ბურიკის**, პოლკოვნიკ **დუნაევის**, გენერალ-მაიორ **კარამიშევის**, გენერალ-მაიორ **სარაევის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **ნედელინის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ციკალოს**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ალექსეენკოს**, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **ვოზნიუკის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **რატოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ბობროვნიკოვის**, პოლკოვნიკ **მიხაილოვის**, პოლკოვნიკ **ტრეხნოვის**, პოლკოვნიკ **სლეპაკოვის**, პოლკოვნიკ **ლუპაკოვის**, პოლკოვნიკ **ბორისენკოს**, პოლკოვნიკ **ტარასენკოს**, პოლკოვნიკ **რომანოვის**, პოლკოვნიკ **გრაჟდანკინის**, პოლკოვნიკ **ლეონოვის**, პოდპოლკოვნიკ **კოროვინის**, პოდპოლკოვნიკ **ოლეინიკის**, პოდპოლკოვნიკ **ჩეპურინის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **სუხორუჩკინის**, პოლკოვნიკ **რუსიანცევის**, გენერალ-ლეიტენანტ **სვირიდოვის**, გენერალ-მაიორ **გოვორუნენკოს**, პოლკოვნიკ **ოგნევის**, პოდპოლკოვნიკ **გორდეევის**, პოდპოლკოვნიკ **როგაჩევის**, პოდპოლკოვნიკ **ზაევსკის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **სუდეცის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **კორსაკოვის**, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ტოლსტიკოვის**, პოლკოვნიკ **ივანოვის**, პოლკოვნიკ **სმირნოვის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ტიმჩენკოს**, პოლკოვნიკ **ტერეხოვის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ **კოტლიარის**, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **იგნატოვის**, პოლკოვნიკ **პავლოვის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **კოროლევის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **მოროზოვის**, პოლკოვნიკ **ეგოროვის**, პოლკოვნიკ **კატკოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას და ქალაქების **სეკეშფეხერვარისა** და **ბიჩკეს** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 24 დეკემბერს, 20 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და დაიკავეს ქალაქები **სეკეშფეხერვარი** და **ბიჩკე**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრძოლებში მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას და ქალაქების **სეკეშფეხერვარისა** და **ბიჩკეს** დაკავებისათვის.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი.
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი.

1944 წლის 24 დეკემბერი.

უზბეკეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
უზბეკეთის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
უზბეკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის 20 წლისთავის დღეს ძმურ სალამს უძღვნიან უზბეკეთის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას.

საბჭოთა რევოლუციამ გაათავისუფლა უზბეკეთის მშრომელნი ემირების, ბაების, მეფის მოხელეების უღლისაგან, შექმნა უზბეკთა ნაციონალური სახელმწიფოებრიობა, გააერთიანა უზბეკი ხალხი მძლავრი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს სხვა ხალხებთან ურღვევ ძმურ კავშირში, აყვავების გზა გაუხსნა უზბეკი ხალხის მეურნეობასა და კულტურას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უზბეკმა ხალხმა დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, დიდ წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. წვრილი ერთპიროვნული ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის ქვეყანა — უზბეკეთი სოციალისტური მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობის ქვეყანა გახდა. უზბეკეთში შეიქმნა საირიგაციო ნაგებობათა განვითარებული სისტემა. უზბეკეთის საბჭოთა რესპუბლიკა ჩვენი ქვეყნის მებამბეობის უმნიშვნელოვანესი ბაზა გახდა. უზბეკეთში ახლად შეიქმნა მსხვილი მრეწველობა.

ლიკვიდირებულია უზბეკი ხალხის საუკუნეობრივი კულტურული ჩამორჩენილობა. აყვავდა ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური მოწინავე კულტურა. რესპუბლიკაში განხორციელებულია საყოველთაო დაწყებითი სწავლება, აგებულია ათასობით სკოლა, მრავალი სამკურნალო დაწესებულება, უმაღლესი სასწავლებლები, თეატრები, მუზეუმები, შექმნილია მეცნიერებათა აკადემია. უზბეკ ხალხში გამოიზარდა მეცნიერთა, მწერალთა, ხელოვნების მოღვაწეთა, ინჟინერთა, ექიმთა, მასწავლებელთა, აგრონომთა მრავალრიცხოვანი კადრები.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის სამამულო ომში უზბეკეთის მშრომელებმა დაგვანახვეს თავიანთი საბჭოთა სამშობლოსადმი უდიდესი თავდადება და ერთგულება. სამამულო ომის ფრონტებზე გულადად იბრძვიან უზბეკი ხალხის შვილები საბჭოთა სახელმწიფოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის. თავდადებულად შრომობენ ფრონტის დასახმარებლად უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო მტკიცე რწმენას გამოსთქვამენ, რომ უზბეკი ხალხი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად შეასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე და მთელ თავის ძალებს მოახმარებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების დამთავრების საქმეს, საბჭოთა კავშირის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის საქმეს.

გაუმარჯოს უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო | **საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი**

უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალედ ულოცავს ორდენოსან უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას რესპუბლიკის შექმნის 20 წლისთავს.

განვლილი 20 წლის მანძილზე უზბეკმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს მიაღწია სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. რესპუბლიკაში შექმნილია თანამედროვე მრეწველობა, მაღალ დონეს მიაღწია რესპუბლიკის სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ, რომელსაც მოჰყავს მთელი სახალხო მეურნეობისათვის ესოდენ დიდმნიშვნელოვანი ტექნიკური კულტურები, როგორიც არის ბამბა და აბრეშუმი. დიდია უზბეკი ხალხის წარმატებანი კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში, ნაციონალური ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრების აღზრდაში. უზბეკმა ხალხმა დიდი სამამულო ომის დღეებში მაღალი პატრიოტიზმი გამოამჟღავნა. უზბეკი ხალხის მამაცი შვილები, საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხებთან ერთად, წითელი არმიის რიგებში ამრავლებენ მის საბრძოლო სახელს, ანადგურებენ საძულველ მტერს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი შემდგომს წარმატებებს უსურვებს უზბეკეთის სს რესპუბლიკის ყველა მშრომელს სოციალისტურ მშენებლობაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ უზბეკი ხალხი თავისი შრომითი ღონისძიებების შემდგომი გაძლიერებით დაეხმარება წითელ არმიას, რომელსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობს, საბოლოოდ გაანადგუროს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები, რომლებმაც ხელჰყვეს საბჭოთა კავშირის ხალხების თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

გაუმარჯოს უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
25 დეკემბრის ოპერატიული ცნობა

25 დეკემბრის განმავლობაში **ჩეხოსლოვაკიის** ტერიტორიაზე ქალაქ **შახის** ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები **მეროვცე, ბოკოვცე, ხუდოვცე, პეჩენიცე, დოლნი პრანდორფი, ბატოვცე, სეტიხი.**

უნგრეთში ბუდაპეშტის სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებმაც განავითარეს წარმატებითი შეტევა, ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ერდი, ნადტეტენი, დიოშდი, ტერეკბალინტი, ბუდაკესი, პატი, იზნე, პალიშჩაბა, ლდანივარი, ჩოლნოკი, დაგი, უნი, ხოშოჰი, ჟამბეკი, მანი, ჩაბდი, ზამოლი, მოხა** და რკინიგზის სადგურები **ერდი, ტინიე, ლდანივარი, მოხა.** ამრიგად, ჩვენმა ჯარებმა გადასჭრეს ყველა რკინიგზის მაგისტრალი, რომლებიც **ბუდაპეშტიდან** დასავლეთით გადიან.

წინასწარი ცნობებით, შეტევითი ბრძოლების განმავლობაში 21-დან 24 დეკემბრამდე **უკრაინის** მე-3 ფრონტის ჯარებმა **ბუდაპეშტის** დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მოწინააღმდეგეს შემდეგი ზარალი მიაყენეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ: მოსპობილია 106 თვითმფრინავი, 291 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 147 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 724 ნაღმსატყორცნი. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა თავისი ჯარისკაცების და ოფიცრების 12,000-ზე მეტი გვამი.

ამავე დროის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 184 თვითმ

(დასასრული მე-4 გვ.).

ერონის ინაური

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში" მიმდინარე წლის 20 სექტემბერს კაპიტანი ა. ბოგუცკი სწერდა კომკავშირელი მეომრის ერონის ინაურის ლეგენდარული გმირობის შესახებ. ამჟამად ჩვენს ხელთ არის საფრონტო გაზეთის „სტალინური დროშის" 1944 წლის 24 ოქტომბრის ნომერი, რომლის ერთი გვერდი მთლიანად მიძღვნილია კომკავშირელი მეომრის ერონის ინაურის გმირობისადმი.

ვინ იყო ერონის ინაური?

ერონის ლევანის-ძე ინაური დაიბადა ქ. ბორჯომში 1924 წელს, დაამთავრა 7 კლასი, 1942 წელს გაიწვიეს წითელ არმიაში. 1943 წელს იგი მძიმედ დაიჭრა. მქონდა შვებულება. შვებულების ვადის გასვლისათვის არ ელოდა, კვლავ ფრონტს მიაშურა, სადაც გერმანელ კაციჭამიებს ებრძოდა უკანასკნელ გულის ფეთქამდე.

სერჟანტი გრიგოლ მარჩენკო, ინაურის ფრონტელი მეგობარი, იმ კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, რომლის წევრი ერონისი იყო, გადმოგვცემს, თუ რა სთქვა კომკავშირელმა ინაურმა უკანასკნელ დღეს კომკავშირის კრებაზე:

„ეს მოხდა მოწინავე ხაზზე, სანგარში, კომკავშირულ კრებაზე ვიხილავდით საკითხს მომავალ დიდ ბრძოლაში ჩვენი მონაწილეობის შესახებ. ამ კრებაზე კომკავშირელმა ინაურმა სთქვა — დღეს ჩვენ, ამხანაგებო, სერიოზულ ბრძოლაში მივდივართ. მე მხოლოდ 20 წლისა ვარ, მე მინდა სიცოცხლე... საქართველოში, ბორჯომში ცხოვრობს ჩემი დედა, ეკატერინე თევდორეს-ასული.

როგორ მიყვარხარ მე მას!

მე მინდა დღეს გავიმეორო სიტყვები ქართველი დედისა, რომლებიც მან ფრონტზე გამოცილებისას მითხრა.

„ერონის, ჩემო საყვარელო! შემომხედე თვალებში და მომისმინე, რას გეუბნები შენი ქართველი დედა. ჩვენმა მოდგმამ არ იცის მხდალები, თუ გინდა ქართველ დედას ამაგი დაუფასო, კარგი ჯარისკაცი იყავი..." და აი, დღეს მივდივართ ჩვენ დიდ ბრძოლაში, ვიმეორებ, სიცოცხლე მწყურია, მაგრამ თუ... ვინ იცის...

ჩემო საყვარელო მეგობრებო, ერთსა გთხოვთ მხოლოდ, თუ რამე მოხდეს, მისწერეთ ჩემს ძვირფას დედას, უბრალოდ—ისე როგორც შემომთხვევა, მეტს არაფერსა გთხოვთ".

მიიღეთ იერიშზე გადასვლის ბრძანება!

მე ერონისის მხარდამხარ მივდიოდი ბრძოლაში, ანთებული მიდიოდა ერონისი და ამაყად იძახდა—წინ, არწივებო!, აი ასე, მომყევით! ჩვენ მივყვებოდით მამაც სერჟანტს.

შეტევის გზაზე დანაღმული გზატკეცილი გადაგვეღობა, გზატკეცილი დაფარული იყო მძლავრი მავთულღობეებით.

აი იგი მიდის სწრაფად — დანაღმული გზატკეცილისაკენ, მთელი ქვეგანაყოფი შესცქეროდა მამაცს. ინაური, მავთულღობეებთან რომ მივიდა, უცებად დაემხო და შემდეგ მთელი სხეულით დაეცა ნაღმებზე... გავიგონე მხედველობა გვაბრმავებდა! გაისმა გამაყრუებელი აფეთქება. გზა გაიხსნა! ჩვენ დავიძარით განაღმული გზით, დავიკავეთ მაღლობი, მრავალ გერმანელს მოვუსპეთ სიცოცხლე, შური ვიძიეთ ქართველი ჭაბუკისათვის, რომლის სახელს არასოდეს არ დაივიწყებს ჩვენი ხალხი.

მაღლობზე, რომლის აღებისათვისაც უკვდავი სახელი მოიხვეჭა კომკავშირელმა ინაურმა, გადავკვეთეთ წარწერით „ჩვენ გვინდა სიცოცხლე! მხოლოდ თუ მოვკვდებით, მოვკვდეთ ისე, როგორც მოკვდა კომკავშირელი ინაური".

შენაერთში, რომელშიც ინაური იბრძოდა, ფრონტულ გაზეთის „სტალინური დროშის" რედაქციამ მიიღო ათობით წერილები ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა მხრიდან, ურალიდან, ციმბირიდან, იაროსლავლიდან, როსტოვიდან, თბილისიდან, მოსკოვიდან და სხვ.

ქალაქ იევპატორიიდან კომკავშირელი ქალიშვილი ანასტასია დობროვოლსკაია იწერება: „ინაური ეკუთვნის სამშობლოსათვის თავდადებულ იმ გმირთა წყებას, რომელთა შორის პირველებით ნიკოლოზ ოსტროვსკის, ზოია კოსმოდემიანსკაიას, ალექსანდრე მატროსოვს.

ყოველი ჩვენგანი, სამუდამოდ დაიხსომებს ინაურის უკვდავ საქმეს და სახელს. ჩვენი ვალი კი ის არის, რომ ვიყოთ თავდადებული მებრძოლნი იმ საქმისათვის, რომელსაც 20 წლის ჭაბუკმა ინაურმა ძვირფასი სიცოცხლე შესწირა".

იაროსლავლის ოლქის გავრილოვ-იამის სოფელ ველიკოეს 33-ე საბავშვო სახლის მე-3 ჯგუფის აღსაზრდელი ვიტია შველოვი სწერს:

„ვიცი, ჩემო საყვარელო ძმებო, რომ ინაურმა ჩვენს მომავალს შესწირა თავი. მე მისი სურათი დავხატე და მას შევინახავ სამუდამოდ. გეფიცებით მაგრად ვსწავლობ და გთხოვთ ბოლომდე მიიყვანოთ ის საქმე, რომლისათვისაც ბრძოლაში გმირულად დაეცა, გმირი ინაური".

ერონისის დედა ეკატერინე თევდორეს-ასული ბორჯომში საბავშვო ბაღში მუშაობს აღმზრდელად.

ეკატერინე მშობლიური წრფელობით ზრდის ბავშვებს, რომელთა მომავალს—ველიკოელი პატარა ვიტია შველოვის სიტყვით რომ ვთქვათ — ერონის ინაურმა სიცოცხლე შესწირა.

ერონისი არასოდეს დაბრუნდება საქართველოში, მშობლიურ ბორჯომში. იგი კარპატის მთებში წევს. მაგრამ იმ აფეთქების გუგუნი, რომელშიც ერონისი დაიღუპა, კვლავ გაისმის კიდით კიდემდე, როგორც მტერზე შურისძიებისაკენ მოწოდება, როგორც მოწოდება ჩვენი დიდი საქმის გამარჯვებისათვის თავდადებული ბრძოლისაკენ!

ვ. ველაშვილი

მებრძოლო! [illegible] რას მოითხოვს შენგან ქვეითი ჯარის საბრძოლო წესდება?

წაიკითხე და დაიზეპირე

მეავტომატე

მეავტომატე შეიძლება იყოს მხოლოდ საუკეთესო, შერჩეული მებრძოლი.

მეავტომატის განუყრელი თვისებები უნდა იყოს სისწრაფე, გაბედულობა, მოულოდნელობა და მოქმედებაში დამოუკიდებლობა.

სწრაფად და მოულოდნელად თავდასხმა, ზარალის მიყენება ცეცხლით, პანიკის მოხდენა და ასევე სწრაფადვე და შეუმჩნევლად უკვალოდ მიმალვა — ასეთია მეავტომატის ჩვეულებრივი ხერხები.

მეავტომატეთა ძირითადი ამოცანებია:

— მოქმედება ფლანგებზე, მოწინააღმდეგის ზურგში და ჩასაფრებიდან მტრის ცოცხალი ძალისა, შტაბებისა და კავშირგაბმულობის მოსპობა;
— მოქმედება სატანკო დესანტების შემადგენლობაში;
— მტრის საბრძოლო წყობაში მალულად გასვლა;
— ძიება;
— ჩვენი თავდასხმის წინა ხაზის საცეცხლე სიმძლავრის გაძლიერება;
— ჩვენს ზურგში შემოჭრილ მტრის მეავტომატეთა მოსპობა;
— თავდაცვის სიღრმეში ბრძოლის დროს მტრის წინსვლის შეჩერება;
— მანევრების დაფარვა.

მომტანი

მომტანმა თავის დროზე უნდა უზრუნველყოს საცეცხლე პოზიციაზე თავისი ქვეგანაყოფი საომარი და ცეცხლის წარმოებისათვის საჭირო ყველა მასალით (ზეთით და წყლით სადაზგო ტყვიამფრქვევებისათვის და სათადარიგო ნაწილებით).

მომტანად შეიძლება დაინიშნოს ყოველი მებრძოლი ათეულში, ამიტომ თვითეულმა მებრძოლმა უნდა იცოდეს მჭიდეებისა, კოლოფებისა და ლენტების ვაზნებით სწრაფად და მოხერხებულად დამუხტვა და მათი სწრაფად და ფარულად მიტანა პოზიციაზე.

ვაზნების მომტანმა ყოველთვის უნდა იცოდეს ასეულის საბრძოლო მარაგის პუნქტის ადგილსამყოფელი.

უნარიანი ზემდეგი

ოფიცერ ხეჩიაშვილის ქვეგანაყოფში შესვლისთანავე იგრძნობა მზრუნველი ზემდეგის ხელი. ყურადღებას იპყრობს საცხოვრებელი ბინის განსაკუთრებული სისუფთავე, კარგად გაწყობილი საწოლები. აქვე, კუთხეში ლამაზად ჰკიდია მებრძოლთა მაზარები, რომელსაც ისინი მეცადინეობიდან დაბრუნებისთანავე იხდიან ხოლმე. შესაფერისი ადგილი აქვს მიჩენილი პირამიდას, რომელზედაც მოწყობილია სპეციალურად გაწმენდილი საბრძოლო იარაღი. კარგად არის მოწყობილი აგრეთვე სამეურნეო კუთხე, სადაც მებრძოლი ყოველთვის ნახავს მისთვის საჭირო ნივთებს—ნემსს, ძაფს, ღილებს და სხვ.

ზემდეგი თიკაზოვი ჩვენს ქვეგანაყოფში ამ ცოტა ხნის წინათ მოვიდა, მაგრამ მისი უნარიანი ხელი ყველაფერს აჩნევს. მან პირველყოვლისა, მთავარი ყურადღება მებრძოლთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას მიაქცია. ქვეგანაყოფში ვერ ნახავთ არაწესიერად ჩაცმულ მებრძოლს, მათ ყველას ფეხსაცმელი გაპრიალებული აქვთ, ტანსაცმელიც სუფთად და ლამაზად აცვიათ. ყოველივე ამისა, ამხ. თიკაზოვი სისტემატურ კონტროლს უწევს, რომ მებრძოლებმა სრულად მიიღონ კუთვნილი ულუფა.

ამხ. თიკაზოვი საბრძოლო და პოლიტმომზადების ფრიადოსანია და თავისი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებს მებრძოლებს. იგი სამამულო ხელმძღვანელობს დილის გამაჯანსაღებელ ფიზკულტურულ ვარჯიშს, რისთვისაც მან მეთაურის მადლობა დაიმსახურა.

ზემდეგი თიკაზოვი, როგორც დისციპლინიანი, საბრძოლო და პოლიტმომზადების ფრიადოსანი, მიღებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) წევრად. იგი კარგად ერკვევა სტალინურ დოკუმენტებში. მან საფუძვლიანად შეისწავლა ბელადის საოქტომბრო მოხსენება და № 220 ბრძანება და ახლა დაუღალავად ეწევა მებრძოლთა შორის ამ ისტორიული დოკუმენტების პროპაგანდას.

პარტორგი დ. მამარდაშვილი

ასე ასრულებს ფიცს მ. ციცუაშვილი

ის დღე, როცა მ. ციცუაშვილმა ფიცი მიიღო, სამუდამოდ დარჩა მის მეხსიერებაში. წმიდა ფიცის ყოველი სიტყვა ღრმად აღიბეჭდა ახალგაზრდა მებრძოლის გულში:

„ვფიცავ კეთილსინდისიერად შევისწავლო სამხედრო საქმე, ყოველნაირად გავუფრთხილდე სამხედრო და სახალხო ქონებას და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიყო ჩემი ხალხის, ჩემი საბჭოთა სამშობლოს და მუშურ-გლეხური მთავრობის ერთგული".

მ. ციცუაშვილი ქვეგანაყოფში დაზგის მეტყვიამფრქვევედ შეარჩიეს. დაიწყო მეცადინეობა. ციცუაშვილმა მასზე გაპიროვნებული იარაღის შესწავლას ენერგიულად მოჰკიდა ხელი. ის ყურადღებით უსმენდა თავის მეთაურს, ცდილობდა ამ იარაღის შესახებ ყოველი მისი ნათქვამი დაემახსოვრებინა. სხვებზე ადრე ისწავლა ციცუაშვილმა დაზგის ტყვიამფრქვევის დაშლა და აწყობა, მისი საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა. საღამოობით ან კვირა დღეობით, როცა მეცადინეობისაგან თავისუფალი იყო, იგი აიღებდა ხოლმე დარიგების წიგნს, მივიდოდა დაზგის ტყვიამფრქვევთან, კითხულობდა მას და პრაქტიკულად სწავლობდა მის აღნაგობასა და თვითეული ნაწილის დანიშნულებას.

ქვეგანაყოფში გაძლიერებული მზადება მიმდინარეობდა სროლის ჩასატარებლად. ახალგაზრდა მეტყვიამფრქვევე გაფაციცებით ემზადებოდა ამ დღისათვის. მას ჰქონდა ერთი სურვილი—ესროლა „ფრიადზე". საცეცხლე ხაზზე ციცუაშვილი აღელვებული გავიდა, მაგრამ მოქმედებდა აუჩქარებლად და დარწმუნებით. მან ამ დღეს მართლაც „ფრიადზე" ისროლა და სარდლობისაგან პირველი მადლობა მიიღო.

პირველმა წარმატებებმა თავბრუ როდი დაახვიეს ციცუაშვილს, პირიქით, თავის საქმის ოსტატურად დაუფლებას მან ახლა უფრო ორგანიზებულად მოჰკიდა ხელი. მას ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა ამხანაგ სტალინის ისტორიული ბრძანებების მოთხოვნები და ყოველდღიურად აღრმავებდა თავის სამხედრო ცოდნას. ციცუაშვილი ბევრს შრომობდა და საბოლოოდ მისი შრომა დაფასდა კიდევაც. ახალგაზრდა მეტყვიამფრქვევე ყოველთვის თავისი საქმის ოსტატთა მოწინავე რიგებში გამოდიოდა. იგი სისტემატურად წარმატებებს აღწევდა სასროლო ვარჯიშობაში, ფხიზლად ასრულებდა საყარაულო სამსახურს, სწავლაში და დისციპლინაში ყოველთვის სამაგალითო იყო.

მის წიგნაკში განუწყვეტლივ იწერებოდა სარდლობისაგან გამოცხადებული მადლობის რიცხვი. სამხრეებზე კი სამი წითელი ლენტი დააკერეს, იგი სერჟანტი გახდა. ასე გაიზარდა უფროს ლეიტენანტ გ. ბოგველიშვილის ქვეგანაყოფის ახალგაზრდა მეტყვიამფრქვევე მ. ციცუაშვილი.

რამდენიმე თვის შემდეგ ქვეგანაყოფში მოვიდა ახალი შევსება. მათ ციცუაშვილის სახით ნახეს მეტყვიამფრქვევე, რომლისაგანაც შეიძლებოდა რჩევა-დარიგების მიღება. ციცუაშვილი სიხარულით ეხმარებოდა ახალგაზრდა მებრძოლებს, ასწავლიდა მათ იარაღის დაუფლებას, რომელიც თვითონაც ძლიერ უყვარდა.

ახალგაზრდა მებრძოლს პავლიაშვილს პირველ ხანებში უძნელდებოდა დაზგის ტყვიამფრქვევის დაუფლება, განსაკუთრებით დიდ დროს ანდომებდა იგი დატენას. მას დახმარების ხელი გაუწოდა ციცუაშვილმა. მან შეამოწმა, თუ როგორ აწარმოებს იგი დატენას, მაშინვე მიხვდა ნელად მოქმედების მიზეზს. პავლიაშვილი სავსებით სწორად მართავდა ტყვიამფრქვევის სახელურს, მაგრამ ვერ ახერხებდა იმავე დროს მარცხენა ხელით ლენტის მიღებას. ციცუაშვილმა პრაქტიკულად უჩვენა პავლიაშვილს მთელი ეს პროცესი.

— როგორც ავტომატი!—სიხარულით წამოიძახა პავლიაშვილმა.

— ჩვენს საქმეში ყოველი ვარჯიში ავტომატიზმამდე უნდა იყოს დამუშავებული,—უპასუხა ციცუაშვილმა.

კიდევ რამოდენიმე ხანი გავიდა და ახალგაზრდა მემიზნემ პავლიაშვილმა ნახევრად შეამცირა ის დრო, რომელიც ტყვიამფრქვევის დასატენად არის მოცემული. ახალ წარმატებებს მიაღწია აგრეთვე მისმა მასწავლებელმა ციცუაშვილმაც. ამას წინათ ჩატარებულ სროლის დროს მან ყველაზე რთული ვარჯიში „ფრიადზე" შეასრულა. იქვე საცეცხლე ხაზზე ასეულის მეთაურმა გ. ბოგველიშვილმა მას მადლობა გამოუცხადა. ეს მეათე მადლობა იყო, რომელიც მიიღო საკ. კ. პ. (ბ) წევრმა სერჟანტმა მ. ციცუაშვილმა.

ციცუაშვილი საფუძვლიანად სწავლობს სტალინურ დოკუმენტებს. ბელადის საოქტომბრო მოხსენებისა და № 220 ბრძანების შესწავლაში დიდ გულმოდგინებას იჩენს და საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადების დროს პრაქტიკულად იყენებს მათ.

ასრულებს რა ფიცს, ციცუაშვილი წმიდად და კეთილსინდისიერად ემსახურება თავის სამშობლოს. მან სრულყოფილად შეისწავლა არა მარტო დაზგის ტყვიამფრქვევი, არამედ, ზუსტად ისვრის შაშხანას, ტანკსაწინააღმდეგო თოფს და ხელის ტყვიამფრქვევს. იგი მოხერხებულად მოქმედებს ტაქტიკურ მეცადინეობაზეც.

— ფიცი ჩემი ცხოვრების კანონია,—ამბობს ციცუაშვილი. ვასრულებ რა მას, მე ყოველთვის მზად ვარ დავიცვა ჩემი სამშობლო, ჩემი მამული. ამ ღრმად პატრიოტულ სიტყვებს მ. ციცუაშვილი პრაქტიკული საქმიანობით ამტკიცებს. იგი საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში პირველია პირველთა შორის.

ლეიტენანტი ვ. ქვარცხავა

საანგარიშო-საარჩევნო კრებები და კომუნისტების ამოცანები

ამიერკავკასიის ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსი
გენერალ-მაიორი ს. ს. ემელიანოვი

ჩვენი ფრონტის შენაერთების პოლიტორგანოებმა და ნაწილებისა და ქვეგანაყოფების პარტიულმა ორგანიზაციებმა უახლოეს ორი თვის განმავლობაში უნდა გადაჭრან სერიოზული და პასუხსაგები პოლიტიკური ამოცანა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს დირექტივის საფუძველზე 1945 წლის იანვარ-თებერვალში ამიერკავკასიის ფრონტის შენაერთებში ჩატარდება ასეულის, პირველადი და პოლკის პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები და შენაერთების პარტიული კონფერენციები.

ეს ამოცანა უნდა განვიხილოთ არა როგორც კამპანია, რომლის მნიშვნელობა იფარგლება აღნიშნული ორი თვით, არამედ როგორც პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებისა და საქმიანობის უაღრესად პასუხსაგები ეტაპი, რომელზეც ბევრად არის დამოკიდებული პოლიტორგანოებისა და პარტორგანიზაციების შემდგომი მუშაობის წარმატება უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის მიერ წითელი არმიის წინაშე დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

მთავარი პოლიტიკური სამმართველო მოითხოვს, რომ მოსამზადებელი მუშაობა, საანგარიშო-საარჩევნო კრებები და პარტიული კონფერენციები ჩატარდეს ფრონტისათვის რეზერვების მომზადებისა, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ხარისხიანობის ამაღლებისა და ჯარებში წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში ნაწილებისა და ქვეგანაყოფების სარდლობისათვის ყოველმხრივ დასახმარებლად პარტიული ორგანიზაციების მობილიზაციის ნიშნით.

ამ ამოცანას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დიდი სამამულო ომის დამამთავრებელი ეტაპის პირობებში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველო პოლიტორგანოებისა და პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს უდიდესი ყურადღება მიაპყრონ მთავარ ამოცანას — კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საფუძვლიან ამაღლებას.

აქედან გამომდინარეობს, რომ კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესება ამჟამად წარმოადგენს მთავარ პირობას, რომელიც განსაზღვრავს ფრონტისათვის რეზერვების მომზადების, საბრძოლო მომზადების ხარისხიანობის ამაღლებისა და წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების წარმატებას ჯარებში.

საარმიო კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური გამოწრთობა აძლიერებს მათ პასუხისმგებლობას სახელმწიფოსა და პარტიის წინაშე, ზრდის მათში უშიშრობას ბრძოლაში, ულმობლობას საბჭოთა სამშობლოს მტრებისადმი, აიარაღებს მათ მასებში ნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო ცოდნით, ქმნის საფუძველს მათი პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული ჰორიზონტის განუწყვეტელი გაფართოებისათვის, ასწავლის კრიტიკულად მიუდგნენ თავიანთ მუშაობას, არ იყოყოჩონ და არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით.

პარტია ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩვენი კადრების და, პირველ რიგში, კომუნისტების მარქსისტულ-ლენინურ მომზადებას, რადგან ბოლშევიზმის ისტორია და თეორია გვასწავლის გარემოებაში სწორად გარკვევას, გვასწავლის, თუ როგორ შევაფასოთ ის ბრძოლის პერსპექტივების თვალსაზრისით, როგორ გადავწყვიტოთ შეუცდომლად ყველაზე რთული ამოცანები.

„აქსიომად უნდა მივიჩნიოთ, — ამბობდა ამხანაგი **სტალინი**, — რომ რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიურია მუშაობის შედეგები, და, პირიქით, — რაც უფრო დაბალია მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მოსალოდნელია მუშაობის ჩაშლა და ჩაფუშვა, მით უფრო მოსალოდნელია თვით მუშაკთა დაკნინება და გადაქცევა მეწვრილმანე-საქმოსნებად, მით უფრო მოსალოდნელია მათი გადაგვარება".

კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დონის ამაღლების საქმეს კიდევ იმიტომ ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ ომის წლებში ჩვენს საარმიო პარტორგანიზაციებს შეემატა ახალგაზრდა კომუნისტების დიდი რაოდენობა. ჩვენმა პოლიტორგანოებმა და პარტორგანიზაციებმა კი, მთელი ყურადღება მიაქციეს რა მიმდინარე საკითხებს, დაივიწყეს, რომ კადრების იდეური გამოწრთობის გარეშე შეუძლებელია პრაქტიკული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას, რომელზეც დამოკიდებულია საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და შენაერთების პარტკონფერენციების მომზადებისა და ჩატარების წარმატება, წარმოადგენს ის, რომ უნარი შეგვწევდეს კრიტიკულად შევაფასოთ გაწეული მუშაობა, გამოვავლინოთ ნაკლოვანებანი და მათი გამომწვევი მიზეზები, რათა ამით უფრო სწორად დავსახოთ მუშაობისა და ბრძოლის პერსპექტივები.

აი რატომ მოითხოვს მთავარი პოლიტიკური სამმართველო, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე და პარტიულ კონფერენციებზე კომუნისტებმა ნაცადი იარაღის — ბოლშევიკური თვითკრიტიკის გამოყენებით ამხილონ ნაკლოვანებანი შინაპარტიული მუშაობის ორგანიზაციაში და საბრძოლო სწავლებაში საკ. კ. პ. (ბ) წევრებისა და კანდიდატების წამყვანი როლის უზრუნველყოფაში.

ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ ჩვენ, კომუნისტებმა, თუ კი წინსვლა გვინდა, უნდა ვამხილოთ და გამოვასწოროთ ჩვენს მუშაობაში დაშვებული შეცდომები. ისინი გვასწავლიან, რომ მუშაობაში **ნაკლოვანებათა** კეთილსინდისიერად მხილება, ამ **ნაკლოვანებათა** გამომწვევი მიზეზების შესწავლა და მათი გამოსასწორებლად აუცილებელი გზების დასახვა წარმოადგენს ყოველი კომუნისტისა და, პირველ რიგში, პარტიული ხელმძღვანელების უპირველეს მოვალეობას. ნაკლოვანებებისადმი უდარდელი დამოკიდებულება და მათი შეწყნარება განსაკუთრებით სახიფათოა ახლა, ომის პირობებში, მით უფრო არმიაში. ამიტომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი მუდამ მოაგონებს პარტორგანიზაციებს თანამედროვე პირობებში თვითკრიტიკის მნიშვნელობის შესახებ, ავალებს გამოიჩინონ მაღალი მომთხოვნელობა მუშაობაში და შეუწყნარებლობა ნაკლოვანებებისადმი.

„პარტია, — აღნიშნა ამხანაგმა **შჩერბაკოვმა** მოხსენებაში მოსკოვის ორგანიზაციის პარტაქტივის 1944 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე, — ყოველდღიურად მოითხოვს ყველა ჩვენი მუშაკისაგან — ნუ გაგიტაცებთ წარმატებანი, ნუ დაგეხვევათ თავბრუ წარმატებებისაგან, შეგწევდეთ უნარი ნაკლოვანებათა დანახვისა და გამოცნობისა, შეგწევდეთ უნარი ამ ნაკლოვანებებთან ბრძოლისა, არ მიჩქმალოთ ისინი, ხშირად შეამოწმეთ ის რაც გაკეთებულია, შესრულებული სამუშაო, კარგადაც რომ იყოს გაკეთებული, შეაფასეთ ერთი თვალსაზრისით — როგორ შეიძლებოდა მისი კიდევ უკეთესად გაკეთება. კრიტიკისა და თვითკრიტიკის დახმარებით ვამხილოთ ნაკლოვანებანი, აღმოვფხვრათ ისინი და ამით გზა გავუკაფოთ ახალ-ახალ წარმატებას, ახალ-ახალ წინსვლას".

საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის დირექტივის შესრულების საქმეში პოლიტორგანოებისა და პარტორგანიზაციების პასუხისმგებლობა იზრდება კიდევ იმიტომ, რომ მომავალი საანგარიშო-საარჩევნო კრებები პირველად ჩატარდება წითელ არმიაში პარტორგანიზაციების გარდაქმნის შემდეგ, როცა საჭიროა მუშაობის გამოცდილების განზოგადება, ნაკლოვანებათა მხილება, პარტორგანიზაციების მუშაობის შინაარსის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ღონისძიებათა დასახვა.

პოლიტორგანოებმა და პარტორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიის ზრდისა და ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის საკითხებში სერიოზულ ნაკლოვანებათა მხილებას და მათ აღმოფხვრას. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება პარტკონფერენციებზე პარტიული კომისიების საანგარიშო მოხსენებების განხილვას.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები და პარტკონფერენციები ჩატარდება ახალ სასწავლო წელს მთელი პირადი შემადგენლობის დაძაბული მუშაობის გაშლის პერიოდში: მათ უნდა დარაზმონ კომუნისტების მთელი მასა, თვითეული პირველადი და ასეულის პარტორგანიზაცია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის შესახებ ამხანაგ **სტალინის** მოხსენებისა და ბრძანების პროპაგანდის ხარისხიანობისა და იდეური დონის ამაღლებისათვის, მთელი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების, ახალგაზრდა შევსების მეომრული და პოლიტიკური აღზრდის ხარისხიანობის ამაღლების საქმეში სარდლობისადმი კიდევ უფრო აქტიური და ყოველდღიური დახმარებისათვის, რიგითი და სერჟანტთა შემადგენლობასთან პოლიტ[illegible], ახალგაზრდა კომუნისტებისათვის ჩამოყალიბებული პოლიტსკოლებისა და სადივიზიო პარტიული სკოლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის და აგრეთვე ოფიცრებისა და პარტიულ აქტივის მიერ ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის ორგანიზაციის გადამჭრით გაუმჯობესებისათვის, ამ საქმეში მათთვის დახმარებისა და სწავლების მიმდინარეობის სერიოზულ კონტროლისათვის.

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებისათვის დაწესებულია შემდეგი დღის წესრიგი: ა) პარტიული ბიუროს (პარტორგის) საანგარიშო მოხსენება. ბ) პარტიული ბიუროს არჩევნები. გარდა ამისა, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე ჩატარდება შენაერთის პარტიული კონფერენციის დელეგატების არჩევნები. ასეულისა და მის თანაბარ პარტორგანიზაციებში, სადაც კომუნისტების რიცხვის მიხედვით, თანახმად საკ. კ. პ. (ბ) წესდებისა, ბიურო არ აირჩევა, მოისმენენ და განიხილავენ მხოლოდ პარტორგის საანგარიშო მოხსენებას და მიიღებენ გადაწყვეტილებას.

შენაერთების პარტიული კონფერენციები, როგორც ეს დააწესა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, განიხილავენ შემდეგ საკითხებს:

ა) პარტორგანიზაციების ამოცანები კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში.

ბ) პარტიული კომისიების საანგარიშო მოხსენებები.

გ) პარტიული კომისიების არჩევნები.

„ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ" საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის შესაბამისად, ასეულის, პირველადი და პოლკის პარტორგანიზაციების ბიუროები, პარტიული კომისიები და პარტიული კონფერენციების დელეგატები აირჩევიან დახურული (ფარული) კენჭისყრით. ეს პოლიტორგანოებისა და პარტორგანიზაციებისაგან მოითხოვს დიდ და სერიოზულ მუშაობას იმ მხრივ, რომ არჩევნების წესი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქცია და ჩვენი პარტიის წესდება განუმარტონ კომუნისტებს და განსაკუთრებით, იმათ, ვინც პირველად იღებს მონაწილეობას დახურულ (ფარულ) კენჭისყრაში.

ჩვენი ფრონტის ნაწილებსა და შენაერთებში ასეულის, პირველადი და პოლკის პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები ტარდება 1945 წლის 10-დან 30 იანვრამდე და შენაერთების პარტიული კონფერენციები — 1945 წლის 5-დან 20 თებერვლამდე.

ასეულის და პირველადი პარტორგანიზაციის ბიურო აირჩევა 3-5 კაცის შემადგენლობით, პოლკის პარტბიურო — 5-7 კაცის შემადგენლობით და პარტიული კომისიები — 7-9 კაცის შემადგენლობით. პოლიტორგანოებმა უნდა მიიღონ ზომები ასეულის, ბატალიონისა და პოლკის პარტბიუროების შემადგენლობის განმტკიცებისათვის, ამ სამუშაოზე ყველაზე გამოცდილი პარტიული მუშაკების დანიშვნით. ასეულის, ბატალიონის, პოლკის პარტორგები უნდა იქნენ წამოყენებულნი სათანადო პარტიული ბიუროს წევრთა შემადგენლობაში ასარჩევად.

პოლიტორგანოების ამოცანაა გაუწიონ აქტიური დახმარება პარტორგანიზაციებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის დირექტივის შესრულებაში, საანგარიშო-საარჩევნო პარტკრებების მომზადებასა და ჩატარებაში, პარტიული ბიუროების შემადგენლობაში კანდიდატების შერჩევასა და წამოყენებაში პარტიის ყველაზე უფრო ღირსეული წევრებისაგან, რომლებსაც უნარი შესწევთ ბოლშევიკურად გადაწყვიტონ ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანები.

პოლიტორგანოებმა და ყველა პარტ-პოლიტმუშაკებმა ღრმად უნდა შეისწავლონ და განუმარტონ კომუნისტებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს დირექტივები და აგრეთვე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქცია „ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ".

ეს მუშაობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნდა გახდეს პოლიტგანყოფილებებში ამჟამად მიმდინარე პოლკისა და ბატალიონის მეთაურთა პოლიტნაწილში მოადგილეების, პოლკის და პირველადი პარტორგანიზაციების პარტორგების თათბირებისა, აგრეთვე პოლკებში მიმდინარე ასეულისა და მისი თანაბარი პარტიული ორგანიზაციების პარტორგების თათბირებისა.

პარტორგების საანგარიშო მოხსენებები უნდა იქნას განხილული და დამტკიცებული პარტიული ბიუროების სხდომებზე, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ მეთაურის მოადგილეები პოლიტნაწილში. პოლიტორგანოები უნდა დაეხმარონ პარტიულ ორგანიზაციებს მოხსენებების მომზადებაში, უზრუნველყონ მათი ობიექტურობა, ნაკლოვანებათა ღრმა ანალიზი და მათ წინაშე ამოცანების დასახვა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და პარტიული კონფერენციების მომზადებამ და ჩატარებამ უნდა უზრუნველჰყოს პარტორგანიზაციების მთელი შინაპარტიული მუშაობის ძირეული გაუმჯობესება, კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლება საბრძოლო სწავლებაში, მათი იდეური აღზრდის საქმის გაუმჯობესება. მთელი ეს მუშაობა უნდა დაეხმაროს ჩვენი ფრონტის ჯარებს სახელოვნად შეასრულონ ოქტომბრის XXVII წლისთავის შესახებ მოხსენებასა და № 220 ბრძანებაში დიდი სტალინის მიერ დასახული ამოცანები, მოამზადონ ფრონტისათვის ღირსეული რეზერვები, რომლებიც შესძლებენ თავდადებულად შეასრულონ დიდი სამამულო ომის დამამთავრებელ ეტაპზე წითელი არმიის წინაშე დასახული ამოცანები — მოსპონ ფაშისტი მხეცი მის ბუნაგში და გამარჯვების დროშა აღმართონ ბერლინში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
25 დეკემბრის ოპერატიული ცნობა
(დასასრული)

მტრისაგან, რომელთაგან მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ცისჭირები, 21 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 101 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 127 ნაღმსატყორცნი, 168 ტყვიამფრქვევი. ტყვედ წამოყვანილია 3,468 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

24 დეკემბერს ყველა ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 110 ტანკი, მათ შორის 61 ტანკი ბუდაპეშტის სამხრეთ-დასავლეთით. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 37 თვითმფრინავი.

✤ ✤

ჩეხოსლოვაკიაში, ქალაქ შახის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით, ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის გზების კვანძი ბა... [illegible]

[illegible]

... ბრძოლებში განადგურებულია 2 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

საბჭოთა ავიაცია ბომბავდა და იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის ჯარებზე. ჩვენმა მფრინავებმა მოსპეს გერმანელთა 20-მდე ტანკი და 330-ზე მეტი ავტომანქანა და საზიდარი. საჰაერო ბრძოლებში და აეროდრომებზე მოსპობილია გერმანელთა 28 თვითმფრინავი.

ბრძოლებში ცენტრალური დედაქალაქის და... [illegible]

[illegible]

• • •

[illegible]

• • •

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ხომალდებმა ბალტიის ზღვაში ჩაძირეს გერმანელის 8 ათასი ტონა წყალწყვის ტრანსპორტი.



ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა

აზერბაიჯანული მუსიკის კამერული კონცერტი აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი ბ. მაჯიბაბაბეკოვი ასრულებს შ. ახუნდოვას სიმღერას „სტალინი".

აზერბაიჯანული მუსიკის კონცერტები

უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა.

დეკადის თვითეული კონცერტი სამამულო ომის პერიოდში ამიერკავკასიის ხალხთა მრავალფეროვანი მუსიკალური კულტურის აღორძინებისა და აყვავების ნათელი დემონსტრაციაა.

აზერბაიჯანის მუსიკის პირველი კონცერტი დაიწყო სიმფონიური ნაწარმოებების შესრულებით, მეორე განყოფილება მიძღვნილი იყო კამერული შემოქმედებისადმი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

დღეს, 26 დეკემბერს, აზერბაიჯანული მუსიკის უკანასკნელი კონცერტია, პროგრამაშია ხალხური მუსიკა და ცეკვა.

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით
(საუბარი სსრ კავშირის სახალხო არტისტ კომპოზიტორ უზეირ ჰაჯიბეკოვთან)

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა... [illegible]

[illegible]

... ქვეყნისა და სხვათა ნაწარმოებებმა, როგორც საბჭოთა თაობის ნიჭიერი კადრების შემოქმედების ლირსეულმა ნიმუშებმა.

ყველა ეს მიღწევა შესაძლებელი გახდა ლენინურ-სტალინური ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის შედეგად. ეს პოლიტიკა უდი... [illegible]

... ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა არის ხალხთა სტალინური მეგობრობის ბრწყინვალე დემონსტრაცია. იგი გახდება ჩვენი შემდგომი შემოქმედებითი ზრდისა და განვითარების მძლავრი ბიძგი.

საზღვარგარეთ

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 25 დეკემბერი. (საკდეპი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

მონმეჟის და სტაველოს სექტორებში შედარებით სიწყნარეა, თუმცა გრძელდება გაძლიერებული საარტილერიო სროლა. ამ სექტორებში მოწინააღმდეგეს წინ არ წამოუწევია. სტაველოს ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით... [illegible]

[illegible]

... რებმა მოწინააღმდეგისაგან გაასუფთავეს ჰაიდერშაიდი. მოწინააღმდეგემ ქვეითი ჯარისა და ტანკების ძალებით კონტრიერიში მიიტანა ტიდლერის მახლობლად, სადაც მძიმე ბრძოლები გაჩაღდა. მოკავშირეთა ნაწილებმა წაიწიეს წინ დიკირხის დასავლეთით რამდენიმე მილზე.

ბრძოლები სწარმოებს კონტრერიეს... [illegible]

[illegible]

ლონდონი, 25 დეკემბერი. (საკდეპი)... [illegible]

ფრიადოსანი მეკავშირეები

ამხანაგ სტალინის საოქტომბრო მოხსენებასა და ბრძანებას ჩვენი ქვეგანაყოფის კომუნისტები მეომრული ოსტატობის სრულყოფით უპასუხეს.

კომუნისტებმა—უფროსმა სერჟანტმა აბკალაძემ, უმცროსმა სერჟანტმა კუტალიამ, ეფრეიტორმა გადელიამ, წითელარმიელმა გუჯაბიძემ და სხვებმა ფრიადზე იციან მეკავშირის მოვალეობანი. ტაქტიკური მეცადინეობის დროს მათ არა ერთხელ გამოიჩინეს თავი ცალკეულ ქვედანაყოფებს შორის სატელეფონო კავშირის სწრაფად დამყარების საქმეში.

თავიანთი საქმის ოსტატები ამხ. აბკალაძე და კუტალია სარდლობამ დააჯილდოვა „ფრიადოსანი მეკავშირის" სამკერდე ნიშნით.

ნ. ბერუაშვილი.

პ/მგ. რედაქტორი **ი. ლავრუხინი**

პ/მგ. რედაქტორის მოადგილე **ვ. დარასელი**